

თარიღი: 18.04.2013

## პრესრელიზი

### კორეა-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები

18 აპრილს, 12:30 საათზე, „კავკასიურ სახლში“ (გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა 20) ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია "კორეა-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები". კონფერენცია კორეის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ორგანიზებით ტარდება (CCIIR).

კონფერენცია მიზნად ისახავს, ქართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხში, როგორცაა სამხრეთ კორეის ეკონომიკის განვითარება. კონფერენციის მიზანია, საქართველოსა და კორეას შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერება. ასევე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

კონფერენციას გახსნის კორეის ფონდის თავმჯდომარე კიმ ჰოეკილი და ნათია გორგაძე, პროგრამების მენეჯერი, CCIIR.

კონფერენციის თემაზე მოხსენებას წაიკითხავენ სპეციალურად მოწვეული სტუმრები: ვახტანგ ყოლბაია, საქართველოს პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი; კიმ ჯაეჩეოლი, საქართველოში კორეის რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი; გიორგი აბაშიშვილი, ილიაუნის ბიზნეს სკოლის დეკანის მოადგილე; ლი იეონო, იონსეის უნივერსიტეტის პროფესორი და ქეთევან გოჩიტაშვილი, ფოლოლოგიის დოქტორი, თსუ.

კონფერენციის მოდერატორი იქნება გიული შაბაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ.

მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ, კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდება და დისკუსიით დასრულდება.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ჯაჭვამე  
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი  
595 511050